

**საქართველოს კანონი  
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. 21-ე მუხლის:**

**ა) პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.**

**ბ) 1<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1<sup>1</sup>. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, აკადემიური საბჭოს წევრების 2/3-ის უმრავლესობით. რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას“.

**2. 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 22. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი)**

1. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი) არის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე ერთ-ერთი კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. თუ გარიგების და შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის პირველი არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს საქართველოს მთავრობა.

3. დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი არჩეულ იქნეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტით, რაც არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობის 2 ვადას.

4. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამხედრო, საზღვაო, სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) რექტორობის კანდიდატად შეიძლება განისაზღვროს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილ პირობებს.

5. პირმა, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს (რექტორს), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ირჩევს ამავე უმაღლესი დაწესებულებისა და მასში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აკადემიური პერსონალი ფარული კენჭისყრით სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით.

7. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) არჩევნების ჩატარების თარიღს, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოქმედი ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე, ნიშნავს აკადემიური საბჭო. არჩევნების ჩატარების თარიღთან ერთად აკადემიური საბჭო აქვეყნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების მიერ განცხადებების წარდგენა და მათი რეგისტრაცია იწყება არჩევნების დანიშვნის მომდევნო დღიდან და სრულდება არჩევნების დღემდე ერთი თვით ადრე. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) არჩევნებთან დაკავშირებული პროცესები უნდა ხორციელდებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

8. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) არჩევნების ჩატარების მიზნით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, იქმნება საარჩევნო კომისია. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თითო წარმომადგენელი. აკადემიური საბჭოს

წევრი არ შეიძლება შედიოდეს საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. საარჩევნო კომისიის ფუნქციონირებისა და უფლებამოსილების განხორციელების წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ.

9. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო საჯაროდ აქვეყნებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

10. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მასში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აკადემიური პერსონალის ნახევარზე მეტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) არჩევნების შედეგებს საარჩევნო კომისია აქვეყნებს არჩევნების დასრულებიდან არაუგვიანეს 24 საათში.

11. თუ ამ კანონით დადგენილი წესით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) არჩევნების ჩატარებულად არ ჩაითვალა ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი) არ იქნა არჩეული, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მომდევნო სამი თვის განმავლობაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

12. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე რექტორის ვერ არჩევის შემთხვევაში აკადემიური საბჭო 10 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 3 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

13. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი) უფლებამოსილია დანიშნოს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

14. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი) უფლებამოსილია დანიშნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებული და აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დირექტორი ამ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით.

15. დაუშვებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელად არჩეული იქნეს წარსულში განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი (რექტორი), მიუხედავად იმისა ნასამართლობა აქვს თუ არა მოხსნილი ან/და გაქარწყლებული.

**მუხლი 2.** ამ კანონის ამოქმედებამდე, დადგენილი წესით, არჩეულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს (რექტორს) უნარჩუნდება უფლებამოსილება არჩევის ვადის განმავლობაში.

**მუხლი 3.** ეს კანონი ამოქმედდეს 2021 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

EDU.ARIS.GE